კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების და წარმოებული პროდუქციის დინამიკა მთავრობის ახალი ეკონომიკური ინიციატივის ჭრილში

ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ბიზნეს სექტორის წარმატებით ფუნქციონირება ცალსახად მნიშვნელოვანია. ამ სექტორის განვითარება ხელს უწყობს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდას, სავაჭრო მდგომარეობის გაუმჯობესებას, უმუშევრობის შემცირებას და საბოლოოდ, ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს ბიზნეს სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკებმა“ კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე (რეზიდენტ იურიდიულ პირებზე) ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მონაცემები დინამიკაში, ბიზნეს სექტორში წარმოებული პროდუქციის ღირებულება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით და მთავრობის ახალი ეკონომიკური პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“ მიმოიხილა.

2014 წლის 1 მაისის მონაცემებით, ბოლო 10 წელში კომერციულმა ბანკებმა ეროვნული ეკონომიკა დაახლოებით 5 მლრდ ლარით დააფინანსეს. (ეს მონაცემი 2003 წლიდან არის შეჯამებული და ის სესხების დაფარვის მაჩვენებელსაც მოიცავს, რაც აღებული სესხების მოცულობას არის გამოკლებული).

გრაფიკი 1: კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ზრდის ტემპი (ათას ლარებში)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; nbg.ge

გრაფიკი 1-დან ნათელია, რომ 2004-2007 წლებში კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები იზრდება (ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი). 2004 წელს ბანკების მიერ გაცემული სესხები 2003 წელთან შედარებით 175 მლნ ლარით გაიზარდა,

ხოლო 2007 წელს დაახლოებით 1 მლრდ ლარით. 2008 წლიდან ზრდის ტემპმა კლება დაიწყო და მის მინიმალურ მაჩვენებელს 2009 წელს მიაღწია (საქართველო-რუსეთს შორის არსებული ომის შემდგომი პერიოდი). 2009 წელს ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 346 მლნ ლარით შემცირდა. აქ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელი არა მარტო გაცემულ სესხებს, არამედ კლიენტების მიერ კრედიტის დაფარვის მონაცემებსაც მოიცავს. ანუ, 2009 წელს გაცემული სესხების 346 მლნ ლარით შემცირება იმას ნიშნავს, რომ კრედიტორებმა უფრო მეტი ოდენობით დაფარეს ბანკის ვალები, ვიდრე ბანკმა გასცა სესხები. 2009 წლიდან 2011 წლის ჩათვლით კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები იზრდება, ხოლო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში იკლებს. მომდევნო წელს ეს მონაცემი კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც დადებითი ფაქტია და ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური კლიმატის შედარებით გაუმჯობესებისკენ მიუთითებს.

ასევე საინტერესოა ამ ინფორმაციასთან ერთად, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები სექტორების მიხედვითაც მიმოვიხილოთ.

გრაფიკი 2: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები სექტორების მიხედვით 01.05.2014 წლის მდგომარეობით (პროცენტული მაჩვენებლები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; nbg.ge

გრაფიკი 2-დან ნათელია, რომ პირველი მაისის მდგომარეობით კომერციულმა ბანკებმა ყველაზე დიდი ოდენობით სესხები ვაჭრობის სექტორში გასცეს, რაც ბანკების მიერ სულ გაცემული სესხების 44.6% შეადგენს, მეორე ადგილზე მრეწველობის სექტორი - 17.0%-იანი

მაჩვენებლით დგას, მესამეზე მშენებლობის სექტორი - 7.9%, მეოთხეზე ფინანსური შუამავლობა - 5.5%, მეხუთეზე ოპერაციები უძრავი ქონებით და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 4.5%, მეექვსეზე ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება და სხვა დარგები - 4.2%, მეშვიდეზე სასტუმროები და რესტორნები - 3.2%, მერვეზე სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა - 3.1%, მეცხრეზე განათლება - 1.3% და ბოლო ადგილზე სახელმწიფო მართვა, თავდაცვა თითქმის - 0%-იანი მაჩვენებლით დგას.

როგორც ამ მონაცემებიდან ვხედავთ, კომერციული ბანკებისთვის ყველაზე პრიორიტეტულ სფეროს სავაჭრო სექტორი წარმოადგენს, ხოლო ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულს კი სახელმწიფო მართვა და თავდაცვა.

აქვე, ინფორმაციისთვის საინტერესოა ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვითაც მიმოვიხილოთ.

გრაფიკი 3: ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2003-2013 წლების საშუალო პროცენტული მაჩვენებლები).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

როგორც გრაფიკი 3-დან ვხედავთ 2003-2013 წლების საშუალო პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით ბიზნესში ყველაზე დიდი ოდენობით (მონეტარული მაჩვენებლის % წილის მიხედვით) პროდუქცია მრეწველობის სექტორში იწარმოება - 34.8%; მეორე ადგილზე ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა დგას - 17.9%, მესამეზე მშენებლობა - 15.6%, მეოთხეზე ვაჭრობა - 14.6%, მეხუთეზე ოპერაციები უძრავი ქონებით - 5.9%, მეექვსეზე ჯანმრთელობის

დაცვა - 3.3% და კომუნალური და სოციალური მომსახურება - 3.3%, მეშვიდეზე სასტუმროები და რესტორნები - 2.7%, მერვეზე სოფლის მეურნეობა - 0.9% და მეცხრეზე თევზჭერა მეთევზეობა - 0.1%.

თუ მეორე და მესამე გრაფიკის პროცენტული მაჩვენებლების დინამიკას ერთმანეთს შევადარებთ დავინახავთ, რომ მათ შორის გარკვეული კავშირები არსებობს: მაგალითად, კომერციული ბანკები ყველაზე დიდი ოდენობით სესხებს სავაჭრო სექტორში გასცემენ, ხოლო ბიზნესში ვაჭრობის სექტორში წარმოებული პროდუქცია (მონეტარული მაჩვენებლის % წილის მიხედვით) 11 სექტორს შორის მეოთხე ადგილზე დგას; მრეწველობის სექტორი, რომელიც კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობის მიხედვით მეორე ადგილს იკავებს, მთლიანად ბიზნესში წარმოებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით პირველ ადგილს იკავებს. მშენებლობის სექტორი კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მიხედვით მესამე ადგილზეა, ხოლო ბიზნესში წარმოებული პროდუქციის მიხედვით კი ასევე მესამეზე დგას. თუმცა ამ მონაცემების ანალიზისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შედარება მხოლოდ ზოგადია, რადგან ბიზნეს სექტორში წარმოებული პროდუქცია მონეტარულ მაჩვენებლებშია გამოხატული და ის გამოშვებული პროდუქციის რეალურ ოდენობას არ გვიჩვენებს.

აქვე აღსანიშნავია მთავრობის ახალი ინიციატივა, პროგრამა - „აწარმოე საქართველოში'', რომლის განხორციელებაც 2014 წლის 1 ივნისიდან დაიწყო. პროგრამის კოორდინატორები არიან: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; პროგრამის ბიუჯეტი სულ 46 მლნ ლარია, საიდანაც 30 მლნ ლარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება - გადამუშავებაზეა გამოყოფილი, ხოლო დანარჩენი - 16 მლნ ლარი კი - ინდუსტრიული პროდუქციის წარმოებაზე.

როგორც ვხედავთ, პროგრამა - „აწარმოე საქართველოში'' მცირე და საშუალო წარმოების განვითარების ხელშეწყობისკენ არის მიმართული, რაც ქვეყნისთვის დადებითი ფაქტია. გრაფიკი 3-დან ნათელია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში გამოშვებული პროდუქციის ღირებულების წილი ბიზნეს სექტორში გამოშვებული პროდუქციის ღირებულების მთლიან მოცულობაში საკმაოდ მცირეა. ასევე გრაფიკი 2-დან ჩანს, რომ კომერციული ბანკები სოფლის მეურნეობის სექტორში ნაკლებად გასცემენ სესხებს (სოფლის მეურნეობის სექტორი 3.1%-იანი მაჩვენებლით მერვე ადგილზე დგას). „საზოგადოება და ბანკების" აზრით, ამ პროექტის წარმატებით განხორციელება კი მათ მიერ გაცემული სესხების მოცულობას, გაზრდისკენ უბიძგებს. ვინაიდან საქართველო უფრო იმპორტიორი ქვეყანაა, ვიდრე ექსპორტიორი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ქვეყანაში ნაკლებად ხდება, ამ სექტორის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის გარკვეულწილად გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს (ექსპორტს გაზრდის, იმპორტს შემცირებისკენ უბიძგებს, რაც სავაჭრო სალდოს გააუმჯობესებს და ზოგადად საქართველოს სხვა ქვეყნებისგან შედარებით დამოუკიდებელს გახდის).